

კათოლიკე ეკლესია

კათოლიკური ეკლესიის წევრები თავიანთ ამქვეყნიურ მეთაურად რომის პაპს მიიჩნევენ. სიტყვა „კათოლიკე“ ბერძნულიდან ნიშნავს „ყოვლის მომცველს“, „საყოველთაოს“. კათოლიკებს სწამთ, რომ ეკლესია დაარსებულია იესო ქრისტეს მიერ და თავად მეთაურობს მათ, პაპი კი - ქრისტეს ამქვეყნიურ ნაცვლად მიიჩნევენ.

კათოლიკე ეკლესია ყველაზე მრავალრიცხოვანი ეკლესიაა მსოფლიოში, მათი რაოდენობა 1 მილიარდ 200 მილიონ ადამიანს უახლოვდება.

მრწამსი: სწამთ წმინდა სამება (მამა, ძე და სული წმინდა), წმინდა წერილისა (ბიბლია) და წმინდა გადმოცემის (საეკლესიო გადმოცემა - გამოცხადების უწყვეტ გადმოცემას ქრისტიანთა ერთ თაობიდან მეორე თაობისათვის).

ისტორიულ წყაროთა თანახმად, ქართველების სარწმუნოებრივი კავშირი რომთან ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებისთანავე მყარდება: წმინდა ნინო, მეფე მირიანი და მთელი ქართველი ერი იღებს კურთხევის წერილს რომის პაპის სილვესტ-რე-1-საგან, რომელიც მცხეთაში ვინმე „ბრანჯი“ მთავარდიაკონს ჩამოუტანია. მე-13 საუკუნის საქართველოში მოღვაწეობას იწყებს ლათინური წესის სამღვდელთა. 1328წ. კი პაპი იოანე-22 აფუძნებს თბილისის ლათინურ წესის საეპისკოპოსოს. კათოლიკეები ღირსშესანიშნავ კვალს ამჩნევენ ქართულ კულტურას: კერძოდ მათი მეურვეობით რომში იბეჭდება პირველი ქართული წიგნები - ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული ენის გრამატიკა, ლორეტას ლიტურგია. ისინი პირველად ჩაიწერენ ქართულ ზღაპრებს, შეადგენენ ქვეყნის სხვა და სხვა გვარ აღწერილობას და სხვ. 19 საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, კათოლიკე მოღვაწეთა საქმიანობა უფრო მეტად კულტურულ- საგანმანათლებლო სფეროსკენ გადაიხარა. შენდება ტაძრები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში.

ბოლშევიკების დროს კათოლიკებმა დიდი დევნა დევნა განიცადეს: განადგურდა კათოლიკე სამღვდელთა, 60 ტაძრიდან მოქმედებდა მხოლოდ ერთი - თბილისში.

საქართველოს დამოუდებლობის დროს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობანი წმინდა საყდარსა(ვატიკანს) და საქართველოს შორის. 2000წ. ეპისკოპოსად იქნა ხელდასმული მღვდელი ჯუზეპე პაზოტო. ამოქმედდა ტაძრები და საკრებულოები თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში, გურიასა და კახეთში. ამჟამად საქართველოში მოღვაწეობს კარმილელთა ორდენი, სტიგმელთა კონგრეგაცია, დედა ტერეზა კალკუტელის მოწყალების ორდენი, საღვთისმეტყველო საზოგადოება და სხვ. შეიქმნა საქველმოქმედო კათოლიკური ორგანიზაცია „საქართველოს კარიტასი“, თბილისის კათოლიკური საავადმყოფო „კაცთა მაცხოვარი“ , დაარსდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი. იბეჭდება საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე „საბა“, აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობის ჟურნალი „დიალოგი“.

კათოლიციზმს იზიარებს ამჟამად საქართველოში დაახლოებით 50 ათასი ადამიანი.